# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 14 ოთხშაბათი, 20 იანვარი 1910 წ. № 14



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სადამდის 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი ... № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

წელიწადი მესამე — წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

### კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.


21 ამა იანვარს დილით ხუთშაბათს, ყვირილის ადგილობრივ ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## ეფროსინე (იგივე კატო) ბექანის ასულის

სულის მოსახსენებლად, რისთვისაც განსვენებულის მეუღლე ბიქტორ ალფეზის ძე გაჩეჩილაძე შვილებითურთ და მაზლები: არჩილ, რაჟდენ, ექსევი და მიხაილ უმიჩილესად სთხოვენ ნაცნობებს და ნათესავებს დაესწრონ. (1—გაჩ.—1)

მ ლანია სტეფანეს ასული შათირიშვილისა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ იმის ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის

## იაკობ ივანეს ძის შათირიშვილს

ნახევარი წლის წირვა გადახდილი იქნება ხვალ, ხუთშაბათს, 21 იანვარს, ქ. გორში, სამების ეკლესიაში, პანაშვიდი იქვე, სამების ეკლესიის გალავანში, სადაც მიცვალებულია დაკრძალული. (1—129—1)

წარმოდგენა № 28. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 28.

**პარასკევს, 22 იანვარს 1910 წელს.**

**ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **სობოლჩიკოვ-სამარინისა.**

## სად მიხვალ?!

დრამა 5 მოქმედებად თარ. (Quo Vadis) აკაკი წერეთლისა.

**პეტრონის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, თ. გოგილაშვილი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვ., გომელაური, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, სვიმონიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, გ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „სამეგრელოს მთავარი ლევან", „მარგარიტა გოტიე".

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

## შაბათს, ამა იანვრის 23-ს

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება.**

„ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილშაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ვ. ურუშაძე.

### ქართული და ევროპიული ცეკვა

ნაშუაღამევის 2 საათამდის

ადგილების ფასი 3—1 მან. ბილეთები იყიდება წ-კ. საზოგადოების კანცელარიაში.

**დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.** (8—5)

საწვრიმალო განყოფილება სავაჭრო სახლის

## ძმ. ა. და ა. მილოვების

გოლოვინის პროსპ., ტელეფონი № 774.

## დანიშნულია ოთხი დღით

20, 21, 22, 23 იანვარს

## დიდი ვაჭრობა დარჩენილ ნაჭრებისა.

და ყველა საქონლისა, რომელიც საზამთრო სეზონს გადარჩა,

## ფასის ძალიან დაკლებით

აბრეშუმის, შალეულის, მაუდის, ტილოს და ბამბის საქონელი. სუფრები, საბნები, ხელსახოცები, პლედები საგზაო და ეკიპაჟებისა.

**ქალის ხალათები კრუჟოვისა და ნაკერი ტანისამოსი** აგრეთვე

**მაუდის** საქონელი **ინგლისისა და რუსის** ფირმებისა. სადილის დროს, $2^1/_2$-დან 4 საათამდე, მაღაზია დაკეტილი იქნება. (3—გაჟ.—3)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ხუთშაბათს, 21 იანვარს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მი ერ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და კ. დ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ციმბირელი

კომედია 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ო. ლეჟავა, შალამბერიძე, ციმაკურიძე და ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ზურაბიშვილი და მეტრეველი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

მომდევი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 30 იანვარს.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ კლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ კვირას, 24 იანვარს, გაიმართება

## საღამო

1. ბ-ნი **გ. ბ. გვაზავა** წაიკითხავს ლექციას: „ნორა იბსენისა.—ევოლუცია ქორწინებისა და თავისუფლება პიროვნებისა.—ოჯახი და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

2. **დივერტისმენტი:** სიმღერა ლექსები, კუპლეტები.

მონაწილეობას იღებენ: ქ ნ მიტკევიჩ-იანოვსკაია (შეასრულებს ქართულ რომანებსაც), ბ-ნნი ზაკოლსკი, გედევანოვი, გავსაძე თავის ხოროთი, ნ. ერისთავი, გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვანი.

3. **ცეკვა-თამაში**

დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.

ბილეთების ფასი 1 მ., მოსწავლეთათვის 50 კ. დასაწყისი რვა საათზე.

საღამო გაიმართება **ქალაქის ბირჟის ზალაში**, ერევნის მოედანთან.

(4—2) საღამოს დიასახლისი **კნ. დ. ჯავახიშვილისა.**



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

**გასტროლი იაპონურ დასისა.**

ოთხშაბათს, 20 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. ბენეფისი ე. ი. ნიკიტინისა. საუცხოვო წარმოდგენა შესანიშნავ ევროპ. არტისტებისა და კლოუნების მონაწილეობით. სხვათა შორის, მონაწ. იღებს შესანიშნავი **იაპონური დასი**, რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სახელოვანი არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია. **ხარიკირი**, მუცლის გამოფატვრა ყველას თვალწინ. იაპონური დასი გამოვა მე-2 განყოფილებაში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.** გამგე **გამსახურდია.**

**ანონსი:** იაპონელები რჩებიან მხოლოდ ორ წარმოდგენაზე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., **მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—88)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—250)

## ექიმი ბ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—75)

## ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—38)

## ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—11)

## ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთ, სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17ა პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. 0—4

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდროვის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—346)

## ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—79)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—96)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნებრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—86)

## ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—2)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

## ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს, ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის მეხანევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—17

**უკანასკნელი ვადა ხელის მოსაწერად**

## ბანდეგილის

**თხზულებაზე—არის 25 იანვარი.**

ვისაც სურს, ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში, (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩ), „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში, (გოლოვინსკზე),—პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტებთან.

ხელის მომწერებს ეთმობა წიგნი 25 კაპ. (6—ნ.—2)

**კავკასიის ქალთა საზოგადოება**

22 იანვარს მართავს „კრუჟოკში" ლიტერატურულ მუსიკალურ საღამოს

## ა. ჩეხოვის

—სახსოვრად—

მონაწილეობას იღებენ: არტისტი-ქალი რუსულ ოპერისა ნიკიტსკაია-კოლოტოვა, ლიჩკუსი, მურავიოვა, ნიკონოვა, ედგარდესი; ბ-ნნი იონესიანი, პალმოვი, ნიკოლსკი, მისტროვი, სემიგალოვი, კაპანაკოვი, შემუევი.

**დასაწყისი 8 საათზე.**

ბილეთები 55 კაპ.—2 მ. 10 კ. იყიდება თვით „კრუჟოკში", შვეიცართან. (1—ნ.—1)

## სად არის სამართალი?

ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სოხუმის მახლობლად მდებარე სოფლიდან—პარნაუთის სახელმწიფო ადგილიდან განდევნეს ორმოცი კომლი ქართველი გლეხი.

თავიდანვე აღშფოთებული იყო ჩვენი საზოგადოება ამ საოცარის სისასტიკით: რატომ, რა მიზეზით სტანჯავენ და აწვალებენ უმისოდაც გატანჯულ სოფლის მუშა ხალხსა, უნებლიეთად ამბობდა და კითხულობდა ყველა.

არჩეული წარმომადგენელნი ამ აწიოკებულ სოფლისა ორიოდე გულშემატკივარის დახმარებით წარუდგნენ ნამესტნიკს და მის ახალ თანაშემწეს სენატორ ვატაცის. მათ აღუთქვეს დახმარება, შემწეობა, თანაგრძნობა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეხლანდელ წეს-წყობილებაში უმაღლეს მმართველის თანაგრძნობაც ხშირად საქმეს ვერა შველის. აქაც პარნაუთლელების აოხრებაში თავი და თავი მნიშვნელობა აქვს ვიღაც მიწის მზომელს, რომელსაც ამ ორი წლის წინად დაავალებული ჰქონდა, სოხუმის ოლქში ახალშენებისათვის მიეზომა მიწები ახალ კანონის თანახმად, ე. ი. ათ დესეტინამდე თითო კომლზე. ამ საქმის ასასრულებლად მიწის მზომელს კანონისაგან ცნობილ ახალშენებისათვის მიუმატნია ის მიწაც, რომელიც კანონს გარეშე დასახლებულ ქართველებს ეკუთვნით. ეს განწყობილება, რა თქმა უნდა, მიწის მზომლის ხელქვეითმეცადინეობით უკვე დაუმტკიცებია უმაღლეს მთავრობას, ...

ვიან რუსები,—იმას ნაჯახითაც ვერ ამოშლით“

ეხლა ამნაირ საცოდავ მდგომარეობაშია ჰარნაუთელ ოთხას სულის ქართველის ბედი. ასეთი უსამართლობა რომ სწვეოდა რომელიმე ერის წარმომადგენელს, რაც უნდა კანონისაგან დევნილი ყოფილიყო იგი, მთელი დუნია ალაპარაკდებოდა და გაზეთის მთელ სვეტებს დაუთმობდნენ ამ საქმეს. ჩვენ-კი ჩუმადა ვართ. არ ვაფასებთ ჩვენს თავს, არ ვიცავთ ჯეროვანად ჩვენს ინტერესებს, როცა სხვა ერის წარმომადგენელ დეპუტატს მცირეოდენი მასალა ეძლევა მთავრობის უსამართლობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მთელ განგანში ასტეხენ, მინისტრებს და თვის უდიდეს სახელმწიფო სათათბიროს ალაპარაკებენ ხოლმე. ჩვენი წარმომადგენელთ-კი ვერა მოუხერხებიათრა. „ჭირი მართალთაო“ სწორედ ჩვენზეა ნათქვამი.

თუ რა მდგომარეობაში არიან კარწაუთელი ქართველი გლეხები, სჩანს შემდეგი დეპეშიდან, რომელიც ორიოდე დღის წინად მოვიდა სოხუმიდან:

„დღეს, 15 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, ადმინისტრაციის მოხელეებმა დააქციეს მთელი ჩვენი შენობები, ნივთები გამოჰყარეს გარედ, სასიმინდეების ბოძები დასჭრეს და ჩვენი წლის სარჩო სიმინდი ცის ქვეშა ჰყრია. ჩვენ, ოთხასმა სულმა, აღარ ვიცით, რა ვქნათ და სად წავიყვანოთ ბავშვები და ავადმყოფნი. სრულიად უსახსროდ დავრჩით. გთხოვთ ჩვენი უბედური მდგომარეობა აუწყოთ მის ბრწყინვალებას კავკასიის ნამესტნიკს.

ვფიქრობ, რომ ამ დეპეშას განმარტება აღარა სჭირია.

**ნიკო თავდგირიძე.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 იანვარი.

## არჩევნები ინგლისში

**ლონდონი.** ასარჩევი დარჩა მხოლოდ ექვსი დეპუტატი, რომელთაც კენჭს ამ კვირაში უყრიან. პოლიტიკური წრეები ძალიან დაინტერესებულნი არიან, თუ რა გზას დაადგება პრემიერ-მინისტრი ასკვიტი, დაუჯერებს რადიკალების და ლორდთა პალატის „ვეტო“-ს უფლების შეზღუდვაში დათმობის გზას არ დაადგება და თუ საჭიროება მოითხოვს რამდენიმე ასს ახალ ლორდს დაინიშნიებს კიდეც, თუ ლორდთა პალატის რეფორმას უნიონისტების და თვით ლორდთა უმრავლესობის თანახმად მოახდენს.

**ლონდონი.** აირჩიეს 272 ლიბერალი, 271 უნიონისტი, 80 ირლანდიელი და 41 მუშათა პარტიის წევრი.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** აგარაში, ეფრემის მისაშველებლად გაიგზავნა სათარ-ხანის რაზმის 200 ცხენოსანი. თვით სათარ-ხანი თავრიზში დარჩა. არდებილში ტელეგრაფი მუშაობს.

### საზღვარ-გარედ

**ტანჟერი.** ტანჟერის ახლო, დაიღუპა კრეისერი „შატო რენა“. მატროსების და აფიცრების გადასარჩენად გაიგზავნა კრეისერი „დიუმეილია“.

**პეკინი.** პრინცმა რეგენტმა არ შეიწყნარა პროვინციის დეპუტატების შუამდგომლობა. დეპუტატები პარლამენტის მოწვევას თხოულობდნენ. პრინცი-რეგენტი თავის ბრძანებაში სწერს, ხალხი ჯერ მოუმზადებელია, ამიტომ პარლამენტს განზრახულ დროზედ ადრე ვერ მოიწვევთო.

**ათინა.** მეფემ თანხმობა განაცხადა ეროვნულ კრების მოწვევაზედ. ამის გარდა მეფემ დრაგუმუსს მიანდო ახალი სამინისტროს შედგენა. სამინისტრო პარლამენტს გარეშე შესდგება. გამოაქვეყნებენ თუ არა მეფის დეკრეტს ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ, სამხედრო ლიგა დაიშლება და გამოაცხადებს, აფიცრები მოვალენი არიან დადებული ფიცი აასრულონო.

**ტოკიო.** ფინგანდოს პროვინციიდან (კორეია) იუწყებიან: დიდი არეულობაა. მოჰკლეს 20 იაპონელი.

**ათინა.** მეფემ ხელმეორედ მიიღო დრაგუმისი და წინადება მისცა ახალი სამინისტრო შეადგინოს. ჰფიქრობენ, რომ სამხედრო მინისტრობას იკისრებს გენერალი ზორბასი, საზღვაო მინისტრობას—მიაულისი, გარეშე საქმეთა —კალერგი.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობა ძალიან დაფიქრდა ათინიდან მოსულმა ცნობამ ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ. მთავრობა შიშობს, რომ საბერძნეთის ეროვნულ კრებაზე კრიტელებმაც არ გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები, რაიც ოსმალეთს ომის საბუთს მისცემს. მთავრობამ გადასწყვიტა თავისით არ იმოქმედოს და იმედი აქვს, რომ კრიტეს მფარველი სახელმწიფოები ზომებს მიიღებენ, რომ კრიტელებმა საბერძნეთის ეროვნულ კრებაზე წარმომადგენლები არ გაგზავნონ.

**ბუდაპეშტი.** მეფემ არ შეიწყნარა მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნა სამინისტროს გადადგომის შესახებ. მეფემ თანხმობა განაცხადა, პალატის დათხოვნასა და ახალ არჩევნების დანიშვნაზედ.

### რ უ ს ე თ ი

**კიევი.** ეს რამდენიმე დღეა, რაც საშინელი ნამქერია. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზედ მატარებლები იგვიანებენ. სადგურზედ იმდენი თოვლია, რომ განსაკუთრებულის მატარებლებით გააქვთ. ზოგიერთ ადგილებში ტელეფონის და ტელეგრაფის მუშაობა შესწყდა. გზების გასაწმენდად სოფლებიდან აუარებელი ხალხი დაიბარეს.

**მოსკოვი.** სამხედრო სასამართლო შეუდგა მოსკოვის ფოსტა-ტელეგრაფის 30 მოხელის საქმის გარჩევას. ბრალდებათ გაფიცვაში მონაწილეობის მიღება. მოწმეებად გამოწვეულია 200 კაცი.

**სევასტოპოლი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გაარჩია შკიპერის თანაშემწის, რიტოვის საქმე. ბრალდებოდა 1905 წელს შავი ზღვის ფლოტის აღელვებაში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ რიტოვს ოთხი წლით ტუსაღთა განყოფილება მიუსაჯა.

**სამარა.** საგუბერნიო ერობამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ სამარაში გაიხსნას პოლიტეხნიკუმი. ერობამ პოლიტეხნიკუმისთვის 200 ათასი მანეთი გადასდო.

**ჩერნიგოვი.** ადმინისტრაციამ დაკეტა საზოგადო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. მიზეზი—არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებაა.

**ოდესსა.** მცგემეობის რუსის საზოგადოებამ გაფიცულ მუშებს გამოუცხადა, თუ მუშაობას არ შეუდგებით, ყველას დაგითხოვთო. მუშებმა მუშაობა დაიწყეს. პირობები წინანდებურია.

**პეტერბურგი.** დააპატიმრეს ალექსანდრე ლიხტერი, რომელიც თავის თავს ინგლისის ქვეშევრდომად და ტროიცკის ოქროს დამმუშავებელ საზოგადოების უფროსს ინჟინერად აცხადებდა. ამის გამო ლიხტერი ყველგან მიღებული იყო და უკა-

ნასკნელ დროს სხვა და სხვა პირებს და საზოგადოებათ კარგა ბლომად ფული დასტყუა.

**პონევეჟი.** ვილნოს სასამართლო პალატამ განიხილა მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფის კუპსტასის საქმე. ბრალდებოდა 1907 წლის 12 ნოემბერს პონევეჟის სადგურზე მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოსთქმა. სასამართლომ კუპსტასს 1 ნახევარ წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

# ქართული საისტორიო მწერლობა

(შემდეგი*)

მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნოებში გაცხოველებული იყო არა მარტო საეკკლესიო მწერლობა, არამედ სამოქალაქოც. სწორედ ამ დროს მიაღწია ქართულმა საისტორიო მწერლობამ, საეკკლესიო საისტორიო ნიადაგზე აღმოცენებულმა, თავის განვითარების უმაღლესს საფეხურს.

მარიამ დედოფლის სეულ „ქართლის ცხოვრებაში“ (გამოცემულია ბ-ნ თაყაიშვილის მიერ) იქ სადაც მოთხრობილია საქართველოს ისტორია მერვე-მეცხრე საუკ. განმავლობაში და მოთხრობილია საქართველოს განახლება და გაერთიანება ვიდრე დავით აღმაშენებელის ისტორიის დასაწყისამდე, შენახულია ერთი ავტორის საისტორიო ნაწარმოები. რომ ეს თხზულება იმ სახით, რა სახითაც იგი შენახულა, ეკუთვნის ერთს მემატიანეს, ეს მტკიცდება თუნდაც იმ ერთგვარ დახასიათებითაც, რომელიც მოყვანილი აქვს ავტორს თითქმის თვითეულ მეფის ღვაწლის შესახებ. თვით მოთხრობასაც ერთგვარი წესი და ერთგვარი თხრობის ხასიათი ემჩნევა. რასაკვირველია, მას ხელთ უნდა ჰქონოდა თანამედროვეთა მიერ დაწერილი სხვა და სხვა საისტორიო თხზულებანი, მაგრამ თვით ისტორია ერთის ავტორის მიერ შემუშავებული უნდა იყოს. ავტორი უექველია, დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე მეფობას არ მოსწრებია, თორემ შეუძლებელია ბაგრატ მესამის შესახებ ეთქვა „ყველა საქართველოს მეფეებზე უკეთესი იყოო“.

როგორც სჩანს, ეს უცნობი ისტორიკოსი სცხოვრობდა დავით აღმაშენებლის მამის დროს (XI საუკ.) მისი ნაწარმოების სახელი მარიამ დედოფლის სეულ ქართლის ცხოვრებაში შენახული არ არის, მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ აზნაურთა ორგულობა თავიანთ მეფეებისადმი ნაამბობია თხზულებაში, რომელსაც ეწოდება **„მატიანე ქართლისა ძველი“**, ხოლო რაკი აზნაურთა მოღალატეობა ქართულს ამ დროის საისტორიო წყაროებში მხოლოდ ამ „მატიანეში“ მოიპოვება, ამიტომ, ვგონებთ სწორედ მას ეკუთვნის ზემომოყვანილი სათაური „მატიანე ქართლისა“. ან იქნებ „ქართლის ცხოვრება“ ავტორს ხელთა ჰქონია, როგორც იმ დროინდელ არაბულ, სომხურ და ბერძნულ ისტორიკოსთა ცნობებიდან მტკიცდება, საუცხოვო ქართული წყაროები, თითქმის თვითეულ მისი ცნობის დამტკიცება შეიძლება უცხოელ ისტორიკოსთა ცნობებით. საზოგადოდ მწერლობაში გავრცელებულია აზრი, ვითომ ეს ნაწარმოები ქრონოლოგიურ ცნობებს იყოს მოკლებული. ეს შემცდარი აზრია. ჩვენი უცნობი ავტორი ქრონოლოგიურ ცნობებს ყოველთვის პირდაპირ არ აღნიშნავს ხოლმე, ჩვეულებრივად საკმარისად მიაჩნია დაასახელოს ერთი თარიღი, ხოლო მას შემდეგ აღნიშნოს რამდენმა ხანმა განვლო (მაგ. ერთის წლის, ორის წლის შემდეგ და სხვ.). საკმარისია ამგვარ წინადადებებს დავაკვირდეთ და თარიღები გამოვიანგარიშოთ, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად უხვ ქრონოლოგიურ ცნობებს შეიცავს ეს წყარო.

დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებაც მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაშია“ შენახული (ბ-ნ ექ. თაყაიშვილის გამოცემა). მასა აქვს განსაკუთრებული სათაური **„ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა“**. მაგრამ თავში თხზულებას შესავალი უნდა აკლდეს. სხვა მხრივ ეს ნაწარმოები საუცხოვოდ არის შემკული. როგორც ეტყობა, ავტორს თავისი თხზულება დაუწყია დავით აღმაშენებელის მამის გიორგი მეორის ცხოვრების აღწერილობით, რათა ამგვარად მკითხველისათვის უფრო ნათლად წარმოედგინა, თუ რაგვარ ძნელს დროში არგუნა ბედმა დავით აღმაშენებელს მეფობა და, ამის-და-მიუხედავად, რა-ნაირად მოახერხა მან საქართველოს აღდგენა და გაძლიერება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს თავისი თხზულება მარტო იმ განზრახვით და მიზნით კი არა აქვს დაწერილი, რომ დიდებულ მეფის ცხოვრებისა და ღვაწლის მოთხრობა შეექმნა, არამედ განზრახვა ჰქონდა დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგე დიდებულ აზნაურთა ბრალდება და საყვედური უარ-ეყო. ამ მხრივ იმის თხზულებაში ბევრი საპოლემიკო ცნობა მოიპოვება. დავით აღმაშენებლის ისტორია დაწერილია თანამედროვის მიერ და დაწყებულია იმ დროს, როცა ტფილისი აღებული იყო არაბთაგან, ხოლო დამთავრებული მეფის გარდაცვალების შემდეგ. არც ამ ისტორიკოსის სახელს მოუღწევია ჩვენამდის. ყოველს შემთხვევაში, მის ნაწარმოებიდან სჩანს, რომ იგი მეფის მახლობელი კაცი ყოფილა, ღრმა და მრავალ-მხრივ განათლებული. მისი ცნობებიც საუცხოვოთა მტკიცდება უცხოელ ისტორიკოსთა ცნობებით. ეს ისტორიკოსი უფრო ვრცლადა ჰხმარობს შედარებით მეთოდს და მას ჩინებულად ესმის, რომ თვითეულ სახელმწიფო მოღვაწის მოქმედების ნაყოფიერება მარტო იმის პირად ღირსებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმ დროინდელ საზოგადოებრივ პირობებზე. ისტორიკოსის აზრით, დავით აღმაშენებელი პირადის ნიჭით, მხნეობით და შორს-გამჭვრეტელობით არაფრით არ ჩამოუვარდება ალექსანდრე მაკედონელს, მხოლოდ დავით აღმაშენებელი ისეთს ხელის-შემშლელ პირობებში მოქმედებდა, რომ თვით ალექსანდრე მაკედონელიც რომ ყოფილიყო, მეტის გაკეთებას ვერ შესძლებდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხუზლება საუცხოო ენით არის დაწერილი და როგორც საისტორიო წყარო ფასდაუდებელია.

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაც იმავე მარიამ დედოფლის სეულ „ქართლის ცხოვრება“შია მოქცეული. სახელი ავტორისა ისევე უცნობია, როგორც დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის სახელი. ყურადღების ღირსია, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი თავის თხზულების „ცხოვრებას“ კი არ ეძახის, როგორც ეს მიღებული იყო წინად ქართულ მწერლობაში. ეს ისტორიკოსი პირველად ხმარობს სიტყვას ისტორიას თუმცა თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების პირველი ნაწილი ძალიან დამახინჯებულია, მაგრამ მაინც მხოლოდ მასა აქვს შენახული მეტად საინტერესო შესავალიც. ეს ისტორიკოსი თამარ მეფის თანამედროვეა და თხზულების წერა დაუწყვია თამარის მეფობის მეთორმეტე წელს. სამწუხაროდ, მისი თხზულების ბოლო მარიამ დედოფლის სეულ „ქართვლის ცხოვრებაში“ არ არის შენახული თამარ მეფის ისტორია, სამწუხაროდ, დაწერილია მეტად გაზვიადებულის და ხოტბაურის ენით. იგი უხვად სარგებლობს იმ დროის მეხოტბეთა შედარებებით, მაგრამ ამის და მიუხედავად, მისი ისტორიული ცნობები მაინც სწორეა და უცხო ქვეყნის ისტორიკოსთა მოწმობითაც მტკიცდება. თამარ მეფის ისტორიკოსიც დიდ აზნაურთა მოწინააღმდეგე იყო და მეფის ერთ მთავრობისა და პოლიტიკის მომხრე.

*) იხ. „დროება“ N 13.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

— **გერმანელთა კოლონიზაციის გაძლიერება.** დღითი დღე ძლიერდება ჩვენში გერმანელთა კოლონიზაცია. როგორც ვიცით მესამოცე წლებში და ადრეც მრავალი გერმანელი დაასახლეს ჩვენს

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

„ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ა რ ს ე ბ ა“.

3 *)

ზნეობრივ შეცოდების საფრთხეც მხოლოდ ადამიანისთვის არსებობს: სხვა არსებანი გამოუკლებლივ ბოროტების და სიკეთის წინააღმდეგობათა გარეშე სდგანან. არა შეუგნებელნი ლტოლვანი, არამედ მხოლოდ მოსაზრებულნი მოქმედებანი ექვემდებარებიან ზნეობრივს დაფასებას, მხოლოდ თავისუფალი გონიერი პიროვნება შეიძლება ჩაითვალოს ბოროტად ან კეთილად. პირუტყვი კი მონაა თავისს გრძნეულ ლტოლვათა. მორალური პიროვნება აუცილებლად გულისხმობს მოქმედების მოტივთა მრავლიანობას. ის მოქმედება, რომელსაც წინ მხოლოდ **ერთი მოტივი** უძღვის, უძლეველი ლტოლვაა, მომქმედი გარდაუვალის, თითქმის მექანიკურის აუცილებლობით და ამ ლტოლვას ჩვენი ეთიური შემეცნება სრულიად გულგრილად უცქერის: აქ შეუძლებელია გარჩევა სავალდებულოსა და არსებულის, დასადასტურებელსა და უარსაყოფელს შორის. უცნაური იქმნებოდა სიქველე და სათნოება მოგვეთხოვა მშიერ მგლისთვის, რომელიც თავის წინაშე უპატრონო კრავს ჰხედავს „იმიტომ რომ ერთად-ერთი მოტივი, რომელიც ასეთს შემთხვევაში იმის მგლურს არსებაში მოქმედებს, უსათუოდ შიმშილის მოკვლაა, ხოლო ერთად-ერთი მიზანი—კრავის შეჭმა.

მორალური აღშფოთებაც უადგილო იქნებოდა აქ, რასაკვირველია: სადაც მოქმედებას წინ არჩევა არ მიუძღვის, იქ არ არსებობს შეგნება თავისუფლებისა და სადაც თავისუფლების შეგნება—არ არის, იქ არ არის განსხვავებაც ბოროტებისა და კეთილს შორის.

ადამიანში კი, პირიქით, თითქმის ყოველთვის არსებობს ეს შეგნება თავისუფლებისა ჯერ კიდევ შეუსრულებელ მოქმედების წინაშე, ეს შესაძლებლობა მოტივთა არჩევისა. მშიერია ის თუ მაძღარი, კმაყოფილი თუ უკმაყოფილო, ის თავის თანაარსის წინაშე აუცილებლად სხვა მოტივებსაც განიცდის, გარდა მხოლოდ გაყვლეფისა, მოტყუებისა და დაღრჩობისა ან სინაზისა, სიყვარულისა და გალმერთებისა. მრავალ გრძნობათა და მოსაზრებათა ურთიერთობასა და ბრძოლაზეა დამოკიდებული ჩვეულებრივად მისი ნებისყოფა და გადაწყვეტილება, თუ, რასაკვირველია, ის სომნამბულისტურს მდგომარეობაში არის ან არ არის მთვრალი, ან შეპყრობილი მორალურის სიგიჟით. ამ შემთხვევებში კი იგი მართლაც ცხოველს უახლოვდება, რადგან მისი ცნობიერება მოწყვეტილია მისსავე წარსულს და მისი ნებისყოფა მექანიკურის აუცილებლობით მომენტალურის გრძნობით და მოსაზრებით ან, უკეთ ვსთქვათ, მოუსაზრებლობით იხაზღვრება. ადამიანობა კი არასოდეს არ იშლება მარტო წუთიერებაში: ერთს განსაზღვრულს მომენტში იგი შეიძლება ყოველს მხეცზე უმხეცესი აღმოჩნდეს. მხოლოდ ისტორიია „ტეოდიცეიათა კაცობრიობ-სა“, ე. ი. განხორციელება და გამართლება ადამიანობის ბუნებისა და იდეისა, მხოლოდ ისტორიულ მსვლელობის წყალობით ჰხდება თან და თანობითი გამოყოფვა ზნეობრივ არსებისა მორალის გარეშე მდგომარე ბუნებისაგან. მხოლოდ „ისტორიული მეხსიერება“, ამ სიტყვის უფართოეს მნიშვნელობ თ, ე. ი. შეგნებული კავშირი ჯერ თავის საკუთარ პიროვნების, შემდეგ გვარ-ტომობის, ეროვნების და ბოლოს, განვითარების უმაღლესს საფეხურზე, მთელი კაცობრიობის წარსულთან და აწმყო მთლიანობასთან აძლებინებს ადამიანს დაინახოს ან დაახლოვებით მაინც წარმოიდგინოს მთელი განსაცვიფრებელი სიმდიდრე და მრავალმხრივობა იმ გრძნობათა, აფექტა და წარმოდგენათა, რომელნიც მოტივებად ემსახურებიან ნებისყოფას და მოქმედებას. მომენტის თვალსაზრისით ადამიანობა ხშირად უბადრუკია, უნიჭო, სულიერად ღარიბი. ისტორიულად გაშლილი კი იგი ყოველთვის მდიდარია, მრავალ-მომქმედი, სულიერად განუზომელი, როგორც კეთილის ისე ბოროტისკენ.

ეს პიროვნების სიფართოვე, ეს მრავალფეროვნობა მოტივებისა აუცილებელი პირობაა ზნეობრივ მოქმედებისათვის. თავისუფლების გრძნობაც, რომელიც თან დასდევს ჩვეულებრივ ჩვენ მოქმედებას, აქედანვე გამომდინარეობს. ჩვენი ნების შებოჭვას ჩვენ ჩვეულებრივ მხოლოდ ძლიერის აღელვების დროს ვგრძნობთ, როცა რაიმე ძლიერი აფექტით გამსჭვალულნი მარტოდმარტო თავზარდამცემს შიშს ან აღშფოთებას, ან მძულვარებას, ან უსაზღვრო სიყვარულს ვემორჩილებით. მაგრამ თვით ასეთს წუთებშიაც არ ძალგვიძს ჩავახშოთ ის ხმა, რომელიც შეიძლება ყრუდ, მაგრამ ყოველთვის დაჟინებით გვახსენებს, რომ ჩვენი პიროვნება ბევრად მეტია, ვიდრე ერთი რომელიმე თუნდ უძლიერესი აფექტი. ესაა საფუძველი პიროვნულ თავისუფლების შეგნებისა: ჩვენ შეურყევლად გვრწამს, რომ ჩვენი ნებისყოფის აქტი, ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოქმედება, მომავალი გარდაწყვეტილება ჩვენ ხელთაა, რომ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რომელი გაიმარჯვებს იმ მრავალ რიცხოვან მოტივთა შორის, რომელნიც თითქმის ყოველთვის ჩვენს ფსიხიკაში იბრძვიან. ჩვენ თავისუფლებას ვგრძნობთ მომავლის წინაშე.

ნებისყოფის თავისუფლებას მხოლოდ ეს ვიწროდ განსაზღვრული აზრი აქვს. ინდეტერმინისტული მოძღვრება კი, რომელნიც ნებისყოფას ფსიხიურ მიზეზობრივობის გარეშე აყენებს, სავსებით ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილს მდგომარეობას, იმიტომ რომ არავითარს ფსიხიურ გამოცდილებაში არ არსებობს მოქმედება, რომელიც განსაზღვრული არ იყოს რაიმე მოტივით. არა უმიზეზობა და უმოტივობა, არამედ მიზეზია და მოტივთა ბრძოლა და არჩევაა წყარო იმ თავისებურ განცდისა, რომელსაც ჩვენ შეგნებულ პიროვნების და მისი ნების თავისუფლებას ვუწოდებთ.

და აი ამიტომ ვსჯით ჩვენ თავისუფალს, შეგნებულს პიროვნებას მორალურად: „მრავალნი, ხშირად უთვალავნი გრძნობანი, წარმოდგენანი და მოსაზრებანი მოქმედებენ შენს სულიერს ბუნებაში. შენ შეგიძლია, თუ რაიმე გარეშე უძლეველი ძალა არ გეწინააღმდეგება (ე. ი. თუ მონა არა ხარ, ან სულიერად ავადმყოფი, ჰიპნოტისტურის ძალით მიძინებული ან სომნამბულისტი) ჩააჩშო დაბალნი ინსტინქტნი და ასპარეზი მისცე უმაღლესს მისწრაფებებს შენ იცნობ თავმოყვარეობას, თანაგრძნობას, სულგრძელობას, სიმამაცეს, ხელ-გაშლილობას, სამართლიანობას, კეთილ-შობილებას თუ შენი კერძო გამოცდილებიდან არა, შენს თანაარსთა წარსულიდან და აწმყოდან მაინც და თუ შენ იმის მაგიერ, რომ ყოველს მომენტში ამ გამოცდილების წყალობით ზნეობრივ პიროვნების იდეით იხელმძღვანელო—იჩენ ხელოვნებას, სიძუნწეს, უსამართლობას, სიმხდალეს, შურიანობას, მაშინ ღირსი ხარ ზნეობრივ გაკიცხვის და გასამართლებისა. სად არის იდეა პიროვნებისა, რომელიც ყოველთვის მაღლა სდგას წუთიერს მოთხოვნილებებზე და სად არის იდეა კაცობრიობისა, რომელიც მეტია, ვიდრე უბრალო ჯამი პიროვნებათა?“

ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ ზნეობრივის იდეალების და ნორმების ფსიხიური ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელს უწყობენ უმაღლესს მოტივებს გაიმარჯვონ უმდაბლესებზე და რომ ამიტომ არავის შეუძლია თავის უზნეობა იმით გაამართლოს. რომ მისი ბუნება და ხასიათი ერთხელ და სამუდამოდ ისეა მოწყობილი, რომ აუცილებლად დასაძრახისი და უარყოფითი ინსტიქტები დღესასწაულობენ იდეალურსა და კეთილშობილზე.

ამგვარად არჩევნების თავისუფლება, რომელიც მით უფრო დიდია რაც უფრო მდიდარი და მრავალმხრივია პიროვნება, რაც უფრო ფართოა მისი გონებრივი ჰორიზონტი, სრულიად ეწინააღმდეგება იმ ყოვლად უსაფუძვლო აზრს, რომელითაც ეგრედ წოდებული ინტერმინისტული თეორია ხელმძღვანელობს ადამიანის მოქმედების ახსნაში. ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა პიროვნების მორალურად დაფასება და გასამართლება, რომ მისი ნებისყოფა და მოქმედება ფსიხიურ ურთიერთობათა გარეშე მდგარიყო, ე. ი. უმიზეზო ყოფილიყო და განუსაზღვრელი თავის გამოხატულებაში. არ შეიძლება პასუხისმგებელი გავხადოთ ვინმე ისეთის მოქმედებისთვის, რომლის მიზეზი მის შინაგანს ბუნებაში არა სძევს. ფსიხიურად გაბრუებულ ადამიანის ნებისყოფა და მოქმედება სწორედ იმიტომ სძევს ეთიურ განსჯის გარეშე, რომ მათი მიზეზი უწინარესს ყოვლისა არა შინაგან ხასიათში უნდა

*) იხ. „დროება“ N 10.

ქვეყანაში. ყველაფრით ეხმარებოდნენ, ფულს აძლევდნენ და ამის წყალობით გერმანელთა სოფლები მშვენივრად მოეწყვნენ. უკვე მოღონიერებულ სოფლებს ეხლა აღარ უჭირთ გაშლა-გაფართოვება და ახალ ადგილების შეძენა. თრიალეთში მრავალი ადგილი იყიდეს და ყველის ქარხანა გამართეს გერმანელებმა. გერმანელების კოლონიზაციის გაძლიერებას, როგორც გავიგეთ, ძალიან დიდად ხელს უწყობს თურმე, ტფილისში არსებული გერმანელთა საზოგადოება. ტფილისის მაზრაში თელავის მახლობლად თავ. სუმბათაშვილის ადგილი ამ დღეებში დაათვალიერეს გერმანელებმა. მათ გადაუწყვეტიათ შეიძინონ რამდენიმე ათასი დესიატინა და გააშენონ ახალი სოფელი.

◆ **ბატაილის ბრძანება.** 18 იანვარს დირექტორმა ბატაილმა ბრძანება გამოსცა ტრამვაის ვაგონების კონდუქტორებისა და დამტარებლების საყურადღებოდ. ბატაილი აფრთხილებს მათ, რომ თუ ისინი შენიშნულ იქნებიან სახელმძღვანელოდ მიღებულ წესის დარღვევაში, დაუყონებლივ დათხოვნილნი იქნებიან.

◆ **ტფ. სახალხო უნივერსიტეტი.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტი უკიდურეს მდგომარეობაშია, რადგან შემოსავლის მუდმივი წყარო არა აქვს. თუმცა საწევრო ფული ერთი მანეთია, მაგრამ 1500 წევრიდან შარშან ასს კაცს არ შეუტანია ფული. სხდომაზე გამგეობა ეხლა ერთად-ერთ საქმეს აკეთებს: თათბირობს თუ როგორ იშოვნოს ფული. მართლაც, უფულობისა წყალობით უნივერსიტეტს ვერა გაუწყვია-რა. ზოგიერთი მასწავლებლები მუქთად ასწავლიან და კარგად მოგეხსენებათ, ქველ-მოქმედებით საქმე როგორ გაკეთდება! 18 იანვარს გამგეობას თათბირი ჰქონდა წარმოდგენის გამართვის შესახებ.

◆ **ახალი საზოგადოება სოხუმში.** სოხუმში დაარსებულა ახალი საზოგადოება, სახელად „სოხუმის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება“. საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ ნაწარმოებთა სასურველ ფასებში გასაღებას. ყოველგან, ჩვენის დაუდევრობის გამო, ჩვენი ადგილ-მამულის ნაწარმოები თითქმის გროშის ფასად უვარდებათ ხელში უცხოელ კომისიონერებს. ეს გარემოება უფრო თვალ საჩინოდ ხდება სოხუმის ოლქში: აქ მდიდარი ბუნების წყალობით მრავალი ძვირფასი მიწის ნაწარმოებია ყოველ წლივ გასაყიდი, მაგრამ მშრომელთ და მიწის პატრონთ, უმეტეს შემთხვევაში ჩვენებურებს — მეგრელებს, აფხაზებს — როგორც ყოველთვის, ზარალის მეტი არაფერი რჩებათ. ამავე დროს უცხოელი კომისიონერები ასი-ათასობით იგებენ ფულს მარტო ყიდვა—გაყიდვით. არიან ისეთი მდიდრები ამ ჟამად სოხუმში, რომელნიც უგროშოდ მოსულან ათი წლის წინად და მხოლოდ ადგილობრივ ნაწარმოების, მაგალითად, თამბაქოს ყიდვა-გაყიდვით მილიონი შეუძენიათ. (დიდი ხანია საჭიროებას ჰგრძნობდა ადგილობრივი საზოგადოება დაეარსებინა რამე ორგანიზაცია მწარმოებელთა და საქმის გამძღოლთა შემაკავშირებლად და მხოლოდ წელს შესდგა ამ აზრით ზემოხსენებული სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება. თანხა ადგილობრივ წევრებისაგან ერთი თვის განმავლობაში შეიკრიბა 26 ათასი მანეთი. წარმომადგენელი ამ ახალ საზოგადოებისა ნ. ყ. თავდგირიძე ამ ჟამად მეცადინეობს ტფილისში, რომ რაც შეიძლება დიდი კრედიტი გაუხსნას ამ დაწესებულებას. ნ. თავდგირიძემ შუამდგომლობა აღძრა სხვა და სხვა აქაურ ბანკის წარმომადგენლებთან. ზოგიერთი ბანკი თანახმაა საქმე დაიჭიროს ამ ახალ დაწესებულებასთან.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 18 იანვარს ქალაქის საბჭოს სხდომას 20-მდე ხმოსანი დაესწრო. წვრილმან საქმეთაგან საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება მინას ვართანიანცის სახლობის უზრუნველყოფის შესახებ. ვართანიანცი მთვრალი მინავლებულა მუხრანის ბორნისაკენ. ბორანზე შეხტომა იმ დროს სდომებია, როცა ბორანი ჯერ ნაპირას არ ყოფილა მომდგარი, ფეხი დასცდენია, ჩავარდნილა მტკვარში და დამხრჩვალა. მემკვიდრეებს საჩივარი აღუძრავთ. ედავებიან ქალაქს 10,350 მან. ოლქის სასამართლოს 25 მან. გადაუწყვეტია სახლობისთვის, ხოლო პალატას 30 მ. თვეში. რადგან ამ განაჩენის განსაჩივრების ვადა გასულა (საკვირველია, რად გაიყვანეს ვადა?), საბჭო იძულებული გახდა, დადგენილებას დამორჩილებოდა. ერთ-დროულად— 700 მან. უნდა მიეცეს ვართანიანცის სახლობას და აგრეთვე თვიური პენსია. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ საყასბოსთვის შესაფერ ადგილის არჩევის შესახებ. როგორც ვიცით, ქალაქის თვით-მმართველობა ჰფიქრობს შეუდგეს ახალ გეგმაზე საყასბოს შენობის აგებას. ბოლო დროს ეს საქმე იმიტომ შეჩერდა, რომ ვერ შეთანხმდნენ, სადგომი ძველს ადგილზე აეშენებინათ თუ ახალი უკეთესი ადგილი მოენახათ. ტეხნიკოსთან კომისიამ მოიწონა ნავთის ქალის მახლობლად ქალაქის ადგილი. სხვათა შორის, ამ ადგილის ერთის მხრივ ჩაუვლის ყარსის, ხოლო მეორე მხრით ბაქოს რკინის გზა. საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება. საბჭომ შეუცვლელად დაამტკიცა გამგეობის მოხსენება ტფ. მაჰმადიანთა საზოგადოებისათვის სასკოლო ადგილის დათმობის შესახებ. გამგეობას დაუდგენია, მიეცეს სკოლის შენობის ასაგებად მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას 1000 ოთხკ. საჟენი ხარფუხში, ეგრედ წოდებულ „არბუზნი“ მოედანზე. საბჭომ მიიღო ეს წინადადება იმ პირობით, თუ იქ მარტო სკოლა გაიმართება. ამგვარადვე ერთი დესეტინა ადგილი დაუთმო ნავთლუხში საბჭომ, გამგეობის დადგენილების თანახმად, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა რწმუნებულებს კახეთის რკინის გზის საჭიროებისათვის, საბჭომ გადასდო 12,500 მან. ავლაბარში ქალაქის საავადმყოფოს ახლობლად როლოვსახ და სილისა ადგილის შესაძენად საავადმყოფოს საჭიროებათათვის. დასასრულ საბჭომ გაიცნო მოხსენება მე-4 საობლიგაციო სესხის რეალიზაციის შესახებ.

◆ **თბილი ამინდები.** საქართველოს ყველა კუთხიდან ამბები მოგვდის, რომ ყველგან გასაოცრად თბილი ამინდებია. ამისა თუ სხვა მიზეზით სოფელში გავრცელებულია ხველა, სოფლე და ქუნთრუშა.

◆ **მკვლელობა ლაგოდეხში.** 15 იანვარს ზაქათალის ოლქში, ლაგოდეხში მოუკლავთ შტაბს-კაპიტანი მოკროტოვაროვი. მკვლელი შეუპყრიათ.

◆ **კავკასიის ქალთა საზოგადოება.** 21 იანვარს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი) მოხდება კრება კავკასიის ქალთა საზოგადოებისა, დასწრება ყველას შეუძლიან. კრებაზე წაიკითხავენ რეფერატებს: ბ-ნი მელიქ-შახნაზოვი—„პირველი ქალი ახალი დროებისა“, ქ-ნი პასიუტევიჩი „ქალის პიროვნება შინაურს აღზრდაში“, ქ-ნი თარხნიშვილი—„გეგმა მუშა ქალების კლუბისა“ ბოლოს მოხდება არჩევა საზოგადოების ნამდვილ წევრებისა. დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზე.

◆ **პრინციპიალური საკითხი.** როგორც ვიცით, ტრამვაის დირექტორმა ბატაილმა ახალი წესი შემოიღო იმ ბილეთების მოხმარებისა, რომლითაც ერთი მეორეზე შეიძლება გადასვლა. ეხლა ასეთ ბილეთს განსაზღვრულ შტოზე აძლევენ, წინად-კი ყველაზე აძლევდნენ. უკვე ვწერდით, რომ ტფილისის ქალაქის თვითმართველობის იურისკონსულტის თანაშემწემ ბ-ნმა ქანანოვმა უჩივლა ტრამვაის დირექციას და ერთ შაურზე დავა დაუწყო. ქანანოვმა მომრიგებელ მოსამართლესთან საქმე მოიგო და დირექციას ერთი შაურის გარდა დაეკისრა ხუთი მანეთის საქმის წარმოების ხარჯი. ამ საკითხს პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსამართლის დადგენილებით მგზავრს უფლება ეძლევა, რომელ შტოზედაც უნდა, იმაზე გადაჯდეს. ამ რიგად, ყველა მგზავრი, რომელიც უჩივლებს დირექციას, მოიგებს ხუთ მანეთს და ერთ შაურს, თუ დირექციამ არ შესცვალა ეხლანდელი წესი.

◆ **ტფ. პოლიცმეისტრის ბრძანება.** ტფ. პოლიცმეისტერმა, ნავთის საწყობების პატრონების თხოვნის თანახმად, უბრძანა პოლიციის მოხელეებს, ნება არ დართონ ნავთის გამყიდველებს კარ და კარ ატარონ ნავთი გასასყიდად. ეს განკარგულება არ ეხება იმ საწყობების პატრონებს, რომელნიც სახლში გაუგზავნიან ნავთს მსურველებს.

◆ გიორგის ქუჩაზე სახლის პატრონმა ზილკოვსკიმ ნ. ი. არჯევანიძემ განცხადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში და ითხოვა, რომ ალექსანდრეს ბაღში ამ ქუჩის მხრიდან გზა გაიხსნას, რათა ხალხს ბაღში მოკლე გზით შეეძლოს შესვლა.

◆ ტფ. მოქალაქის მიხეილ შაფრანოვის სახლიდან მონუმენტის ქუჩაზე ქურდებს 16 იანვარს მოუპარავთ 200 მანეთის ნივთები. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა გრიგოლ სარქისოვი. 18 იანვარს დააპატიმრეს სოფ. ძეილეთის მცხოვრები პეტრე კაზმანაზაშვილი და სპარსეთის ქვეშევრდომი იოსებ გიორგიზოვი, რომელთაც ჰბრალდებათ სოფ. ტაბახმელაში ეკლესიისა და დუქნის გაქურდვა. დიდუბის ქუჩაზე დააპატიმრეს დავით ჯაჭვაძე, რომელიც სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად იმალებოდა. ჯაჭვაძე სიღნაღის მაზრის სამხედრო საკრებულოს გაეგზავნა. 17 იანვარს პოლიციის 1 ნაწილში დააპატიმრეს 8, ხოლო მე-12 ნაწილში—24 უპასპორტო კაცი.

### ქუთაისი

◆ **„ანფისას“ გასამართლება.** ლიტერატურული გასამართლება მოდაში შემოვიდა და ქუთაისშიაც აპირებენ ამ მოდის პირველ ხილის ჩვენებას: ასამართლებენ ანდრეევის ანფისას. ზოგიერთი მონაწილე, როგორც გავიგეთ, რუსულად არჩევს გასამართლებას. ერთი ახლად გამოსული ქართველი ვექილი ამბობს: ქართული ენა არ მეხერხება. აი, რა უცნაურობას უძღვის დღევანდელი სინამდვილე. მეორე ქართველი ვექილი, მცხოვანი და გამოცდილი, რუსულს ენას უფრო ახირებულის საბუთით ირჩევს: პიესა რუსულადაა, გადმოთარგმნილი არ არის და, მაშასადამე, ქართულად საქმის მოწყობა შეუძლებელიაო. ეხლა, როგორც გადმოგვცეს, საქმის მომწყობთ, ზოგიერთა თხოვნით, გადაუწყვეტიად ქართულად მოაწყონ საქმე. და კარგსაც იზმენ, რადგან ქართველთა ქალაქში, სადაც დიდმა უმრავლესობამ რუსული არცკი იცის, მხოლოდ ქართულ ენაზე ექნება ამგვარ მსჯელობას კულტურული მნიშვნელობა.

## მოწერილი ამბები

**ლიახვის ხიდი.** როგორც მოგეხსენებათ, გორში ახალი ხიდი გააკეთეს და ამის გამო ძველი ხიდი აშალეს. ბევრი მითქმა მოთქმა გამოიწვია იმან, თუ ეს აუარებელი მასალა რას მოახმარონ. სხვათა შორის დიბადა ისა აზრიც, რომ ამ მასალით ლიახვზე გააკეთონ ხიდი. მხოლოდ ვერ გადაეწყვიტათ დიდ ლიახვზე გაეკეთებინათ თუ პატარაზე: ზოგი ასახელებდა იმ ადგილს, სადაც პატარა ლიახვი დიდ ლიახვს ერთვის და ზოგიც დიდ ლიახვზე გორსა და ტინიხიდ შუა ამჯობინებდა. მხოლოდ არავინ გამოჩნდა ისეთი გულშემატკივარი, რომ სამართლიანად ეჩვია, სად უფრო უმჯობესი იქნება და სასარგებლო უმრავლესობისთვის ახალი ხიდი. ახლა, როგორც გავიგე, ზოგიერთი თავიანთ პირად ინტერესით გატაცებულნი სარგებლობენ თავიანთის გავლენითა და უფლებს [illegible] ხმარობენ, რომ ხიდი პატარა ლიახვზე გააკეთონ, იმ ლიახვზე, რომლის წყალდიდობაც მხოლოდ რამდენსამე კვირას გასტანს, სადმე და იმ უმრავლესობას კი აწუხებენ, რომელიც დიდ ლიახვის შეუღლებაზე სცხოვრობს. [illegible] ხაიდენენ რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, აარჩიონ ისეთი ადგილი, სადაც ორივე ლიახვის ხეობის მცხოვრებნი მიუდგებიან ცხინვალიდან გორამდის. მე ასეთ ადგილად მიმაჩნია შერთულის ბოლო და თუ რამე მიზეზით აქ მოუხერხებელი იქნება, მაშინ ხიდი უნდა გაკეთდეს უეჭველად დიდ ლიახვზე ტინიხიდის პირდაპირ. აი, ამ ადგილებში უნდა გაკეთდეს ხიდი და არა პატარა ლიახვზე, ვინაიდან ხიდი უნდა გაკეთდეს არა რომელიმე გავლენიან და ხინოსან პირისთვის, არამედ იმ უმრავლესობისთვის, რომელიც აუარებელ მსხვერპლსა სწირავს უფლდ წლობით დიდ ლიახვს. შეიძლება ვინმემ მიპასუხოს, რომ დიდი შრომა და ხარჯი დასჭირდება, მაგრამ სადაც არაფერი იხარჯება, იქ ხომ არც არაფერი კეთდება. შეგნებულნი ხარჯს არ დაზოგავენ ამისთანა სასარგებლო საქმისთვის.

პ. გარსევანიშვილი.

## მოგონება

ამას წინად „დროების“ მე-274 ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა იმის შესახებ, რომ 13 დეკემბერს შესრულდება 25 წლისთავი მას შემდეგ, რაც განსვენებულმა ლადო აღნიაშვილმა შეადგინა ქართული ეროვნული ხორო.

ამ პატარა, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანმა შენიშვნამ მომაგონა მეტ ხეში წარსული. 1882 წ., როცა მე სასულიერო სემინარიის რუსულ ხოროს [illegible], ცალკე კიდევ პატარა ქართულ მომღერალთა გუნდი მყავდა შემდგარი სემინარიელებისაგან. თუმცა ძალიან ცოტა დრო მქონდა თავისუფალი, როგორც მოწაფეს, მაგრამ კიდევ მაინც იმდენს დროსა ვშოულობდი, რომ ამ პატარა სიმღერა-კალოობის მოტრფიალე გუნდს ვასწავლიდი თუ რამ ქართული სიმღერა-კილოება ვიცოდი. რადგან რეპერტუარი ჩემ მიერ ნაცოდნ ქართულ სიმღერებისა მალე გათავდა და საფანელი შემომაკლდა, ვცდილობდი სხვა მცოდნე პირებისაგან შემესწავლა და შემდეგ ჩემი გუ-

---

ვეძებოთ, არამედ რაიმე გარეგანს ძალაში: ჰიპნოზში, ნარკოზში ან ალკოჰოლში.

თავის შინაგან სულიერ წყობილების, თავის ნათლად გამორკვეულ ხასიათის მიხედვით მოქმედებას ნიშნავს ნების თავისუფლება და არა უმიზეზობას არა შემოქმედებას არარაობისაგან. სულის სიმაღლე და სიფაქიზე სამართლიანად მხოლოდ მაშინ გვერიცხება აქტივში, ხოლო სულის სიმდაბლე და სიდუხჭირე პასსივში, როცა როგორც ერთში, ისე მეორეში მთელი ჩვენი შეგნებული პიროვნება გამოსჭვივის ისე როგორც ის არის თავის-თავად, გარეშე ძალთაგან დამოუკიდებლად. კეთილშობილება, რომელიც შემთხვევით ან რაიმე უცნაურ გაუგებრობის წყალობით აღმოცენებულა, დაახლოვებით იმდენავე ფასობს, რამდენადაც შეშლილის ვაჟკაცობა ან ხელგაშლილობა და გულწრფელობა შეზარხოშებული მოქეიფესი.

ცხადია, რომ ნებისყოფის თავისუფლება იმ მნიშვნელობით, რომელსაც მას ჩვენ აქ ვაძლევთ აუცილებლად გულისხმობს თავის შინაგან მეს გამორკვევის, თავის კერძო წარსულისა და იდეალის გათვალისწინებას: უბადრუკია და შესაბრალისი ის პიროვნება და ხალხი, რომელსაც თავისი თავი ვერ უპოვია ან დაუკარგავს თავის ისტორიულად შემუშავებული ინდივიდუალური თუ სოციალური ხასიათი. მისი თავისუფლება, მისი ზნეობრივი ძალა შემცირებული და დაკნინებულია, მისი ნიჭი დამოუკიდებელ ეთიურ შემოქმედებისა ძლიერ საეჭვო. მისი მორალური ღირებულებანი და კულტურა უფერული და უგავლენო. თანდათანობითი და შეუწყვეტელია ცხოვრება და განვითარება შეგნებისა, როგორც ინტელექტუალურს და ემოციონალურს ისე ნების ყოფის სფერაშიაც: არსად არსებობს ნებისყოფის აქტი, რომელსაც შეწყვეტილი ჰქონდეს ყოველივე კავშირი დანარჩენს ფსიხიურს ენერგიასთან, რომელიც შინაგანს მიზეზობრივს დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდეს შეგნების წარსულს ცხოვრებასთან. უმიზეზობა სულიერ განცდათა სფერაში ისევე უაზროა, როგორც ფიზიკურ მოვლენათა სამეფოში, ისევე როგორც სხვაგან მსოფლიოში.

ამ გარემოებისაგან გამომდინარეობს მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების იდეის დამატებად ან კორელატად და რომელიც ისეთივე პრივილეგიაა ადამიანურ ცნობიერებისა: იდეა აუცილებლობისა ანუ ბედისწერისა ჩვენი თვითნებობას ან არჩევის თავისუფლებას მხოლოდ მომავლის, ჯერ შეუსრულებელ მოქმედების წინაშე ვგძნობთ. პირიქით, როცა შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა და მომავალ წარსულად, ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რაც ჩვენ თავისუფლად გადაწყვეტილების ნაყოფი გვეგონა, აუცილებელი ყოფილა და რაც მოხდა-მოხდა სწორედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. საბედისწერო ელფერი ეძლევა წარსულს ამ გარემოების წყალობით. ჩვენი მომავლის მჭედლები თვით ჩვენა ვართ. ჩვენი ღრმა რწმენის მიხედვით, თუმცა ეს მომავალი იმ გრდემლის და კვერისაგანაცაა დამოკიდებული, რომელიც არსებითად ჩვენი ბუნებისაგან განსხვავდება. მაგრამ განა ჩვენ ჰეფესტოს ბევრად უფრო მნიშვნელოვანად არ მიგვაჩნია, ვიდრე ვულკანი მისი ღვთაებრივი სამჭედურო? და აი, საკმაოა ამ „ჰეფესტოსმა“ თავის უკან მოიხედოს. საკმაოა რეალობის თვალსაზრისით შეჰხედოს იმას, რაც აქამდის იმის შეგნებაში იდეალობის ან შესაძლებლობის სახით არსებობდა და სულ ადვილად დაინახავს რომ მისი ადამიანური არსება ისევ ექვემდებარება აუცილებლობას და მის კანონებს, როგორც ყოველი სხვა არსება უკანასკნელ ლითონისაგან დაწყებული უდიადეს ზეციურს მნათობამდე.

ამით მე იმისი თქმა არ მინდა, რომ თავისუფლების გრძნობა მხოლოდ ილლუზიაა, გონების შეცდომა ან უშინაარსო მოჩვენება, რომელიც შეიძლება მოსპობილ იქმნას ლოგიკურ შრომისა და თვით-გაწვრთნის შემწეობით. შეურყეველი ფსიხიური ფაქტია ეს გრძნობა, ისევე როგორც შეგნება მომავლისა, რომელთანაც იგი განუყრელადაა შეკავშირებული. კიდევ მეტი: თვით აუცილებლობის განცდა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენს სულიერს გამოცდილებაში არ არსებობდეს იდეა პიროვნულ თავისუფლებისა. როგორც ბევრი სხვა კორელატიურნი ცნებანი, როგორც, მაგალითად, იდეანი, სიცოცხლისა და სიკვდილისა, სუბიექტისა და ობიექტისა, წარსულისა და მომავლისა, ისე აუცილებლობა და თავისუფლებაც ყოველთვის ურთი-ერთს ჰგულისხმობენ და ერთის მათგანის აღმოფხვრა უსათუოდ მეორესაც გაიყოლებდა თან ცნობიერებისაგან.

ჩვენ რომ მარტო მომავლის შეგნება გვქონებოდა თავის თავი აბსოლიუტურად თავისუფალი გვეგონებოდა: ჩვენ ყოველს მომენტში გამოვიდოდით როგორც მიზეზი მოვლენათა და არა როგორც შედეგი. პირიქით, მარტო წარსულის ცოდნით კი მუდმივ ბედისწერის კლანჭებში ვიგრძნობდით თავის თავს, შებოჭვილს, განსაზღვრულს გარდაუვალის აუცილებლობით, ყოველთვის მოვლენათა შედეგს, რეზულტატს. წინააღმდეგობა აუცილებლობისა და თავისუფლების შორის იგივე წარსულისა და მომავლის წინააღმდეგობაა და ისევე რეალურია, როგორც ეს უკანასკნელი. ადამიანის ხელში ის დისჰარმონიის და ტრაგიზმის უდიდესს წყაროდ უნდა ჩაითვალოს: ჩვენ ნათლადა ვგრძნობთ, რომ „მერანს“ თავისუფლად მივაქანებთ მომავალისკენ, მაღალ მიზნებისკენ, ბედნიერ თუ მშვენიერ ან ფართო და მდიდარ არსებობისაკენ,— მაგრამ შეუწყვეტლად გარკვევით გვესმის, თუ როგორ მოგვდევს უკან კვალ და კვალ ჩვენი წარსული, ხშირად შეიძლება უარყოფილი, ხშირად შეიძლება ჩვენი „შავბედითი შავი ყორანი“ და რაც უფრო შორს მივდივართ განვითარების გზაზე, მით უფრო იზრდება ეს სამეფო „ისტორიულ აუცილებლობისა“: დიახ, ჩვენი თვითნებობა, არჩევნების შეძლება, თავისუფლების შეგნება მოტივთა სხვა და სხვაობაზე და მრავალიანობაზეა დამყარებული, მაგრამ თვითეული გრძნობა და წარმოდგენა, რომელიც ჩვენი მოქმედების მოტივებად თუ მიზეზად გამოდის, უკანასკნელი რგოლია ფსიხიურ მოვლენათა გრძელ ჯაჭვისა, რომლის დასაბამი იკარგება დაუსრულებლობაში; ინდივიდუალურ შეგნების აწმყოს ის აერთებს მის წარსულთან, შემდეგ ახლო ნათესაობის, გვარტომობის, ეროვნების, ბოლოს მთელი კაცობრიობის სულიერს ცხოვრებასთან. არსად არა სწყდება ეს კავშირი, თუმცა ხშირად იგი სუსტია, შეუგნებელი.

საბედისწერო ტრაგიზმი ჩვენი „ისტორიულ ბუნებისა“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „შეხედულების ფორმა“, რომელშიც ის იშლება, დროება ბევრად ნაკლებ აძლევს ასპარეზს თავისუფლებას, ვიდრე, მაგალითად, გამოცდილების მეორე მატარებელი, სივრცის წარმოდგენა. უკანასკნელი სამ დიმენსიონალურია და ჩვენ შედარებით თავისუფლად შეგვიძლია მოძრაობა ექვსი მხრით სამივე მიმართულებაში ან ერთს ადგილზე გაჩერება, დროება კი მხოლოდ ერთ დიმენსიონალურია და აქაც ყოველთვის მხოლოდ ერთი მხრისკენ მივდივართ, სახელდობრ წარსულიდან მომავლისაკენ. აწმყოდან წარსულისაკენ კი ხიდი ყოველთვის ჩატეხილი გვხვდება! გარდაუვალია ეს ვიწრო, მაგრამ უძირო უფსკრული, დროების მიერ გათხრილი ზურგს უკან: ჩვენ შეგვიძლია ხელი გავუწოდოთ იმას, რაც ამ უფსკრულს გაღმა დარჩა, შეგვიძლია მახსოვრობაში განვაცოცხლოდ განვლილის ჟამის აჩრდილნი; მუდმივ ახლობელნი, მაგრამ მაინც მუდმივ მიუწდომელნი არიან ისინი ჩვენთვის: იმიტომ რომ დროთა-ბრუნვასთან თვით ჩვენ ვიცვლებით, თვით ჩვენ სულს აჩენს ის წაუშლელს, აღმოუფხვრელს ბეჭედს. „აჰ, მახსოვრობას ყველაფრის დაბრუნება შეუძლია,—სთქვა ერთმა დიდმა მგოსანმა: ადგილების და ადამიანების, დღის და საათის,—მხოლოდ ერთი რამ აღარ დაბრუნდება არასოდეს, ერთი რამ, რაც ყველაზე უძვირფასესია ჩვენთვის: ხელახლა ჩვენ თვალწინაა ხშირად ყველაფერი გარეგნული, მხოლოდ ჩვენი თავი ვერასოდეს ვეღარ აგვიყენებია და განახლებულს სიმებისთვის სულიერი წყობილება ვეღარ შეგვითვისებია.“ (ლონგფელლო: „ოქროსფერი ლეგენდა“.)

ეს მძაფრი წინააღმდეგობა აუცილებლობისა და თავისუფლების შორის არ იარსებდა ჩვენთვის, მარტო სივრცის ჩარჩოებში რომ ვყოფილიყავით მოთავსებულნი ან, მაგალითად, დროება რომ მხოლოდ სივრცის მეოთხე დიმენსია ყოფილიყო და არა ფორმა მთელი ჩვენი შინაგან და გარეგნულ გამოცდილებისა. მაგრამ მაშინ არ იარსებებდა არც მისწრაფება იდეალისადმი. თუ ჩვენს ზევით სადმე მართლაც არის უზენაესი არსება თავისუფალ ჟამთა მიმდინარეობისაგან, არსება, რომლისთვისაც ერთს მომენტში მარადისობა სძევს, მას უეჭველად არ ეცოდინება, თუ რა არის დისჰარმონია სავალდებულოს და არსებულს შორის თუ რა არის ადამიანური სევდა და ლტოლვა ახალ იდეალებისა და ახალ ცხოვრებისადმი.

გერონტი ქიქოძე.

(შემდეგი იქნება)

ნდისთვის გამეზიარებინა. ამისთანა გაჭირვებულ დროს გავიცან პირველ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე ი. გ. რატიშვილი, რომელმაც, რა გაიგო მიზანი ჩემის დაღონებისა, ფრიად გაუხარდა და თავისებურ აღტაცებით, წრფელის გულით მითხრა: „რადგან, როგორც შენ ამბობ, სემინარიაში ნებას არ მოგცემენ ქართულ გუნდთან მეცადინეობისას, ჩემი ბინა თქვენთვის მზად იქნება, ოღონდ იზრუნეთ მცოდნე საუკეთესო ქართულ-კახური სიმღერებისათ". გახარებული დავბრუნდი სასწავლებელში და ჩემებს ვახარე საქმის გარემოება. ახლა ვცდილობდი, როგორმე მეშოვნა მასწავლებელი. ერთი კვირის შემდეგ სემინარიის ეკკლესიაში წირვაზე დავინახე განსვენებული სოსიკო კოზმანიშვილი, პირველი მომღერალი კახურ-სუფრულ სიმღერებისა. წირვის შემდეგ ვნახე, გამოველაპარაკე, წინადაც ვიცნობდი, და ყუამბე ყველაფერი. ამასაც ძალიან გაუხარდა და მითხრა: „შვილო, ოღონდ თქვენ იკადრეთ და ისწავლეთ ჩვენი კახური დიდებული სიმღერები და მე აქ კარგა ხანი დავრჩები და დრო და ადგილს თუ დამინიშნავთ, დიდის სიამოვნებით ვივლი და გასწავლითო."

ვინაიდან მთელი ხორის სიარული ყოველთვის მოუხერხებელი იყო, მე დავდიოდი ი. რატიშვილის ბინაზე, იქ სოსიკო კოზმანიშვილისაგან ვსწავლობდი ყველა ხმას სიმღერებისას და მერე ჩემ პატარა გუნდს ვასწავლიდი. მაშინ ჩემ გუნდში იყვნენ: ესტ. მირიანიშვილი, ივ. გოგოლაძე, შელიავა, ალ. გიორგაძე, ბაქრაძე, ს. ცაგარელი, მ. ცაგარელი და სხვ.

რაც დრო გადიოდა იმდენი საქმე კარგად მიდიოდა. ს. კოზმანიშვილის გარდა, ცოტა ხნის შემდეგ ტფილისში გავიცანით მეორე კარგი მომღერალი ტიტიკო ვახვახიშვილი. ესეც სამსახურისა გამო კარგა ხანი დარჩა ტფილისში და მისი ყოფნიდაც ვისარგებლეთ კახურ სიმღერების შესწავლაში. ამათ შემდეგში მოემატათ ვანო ბახუტაშვილი, კარგი ბანის მთქმელი, და მთლად გაიჩარხა საქმე. ჩემი აზრი იყო, ყველად ნამდვილი ქართული სიმღერები გვესწავლა, რომლებიც საუკუნოებით შემუშავებულ-შეწყობილი აღმტაცის ჰანგებით და ნამდვილი ქართველ ერის გულიდან ამოხადული იყო. ასე ვფიქრობდი და ვიჩქაროდი ჯერ მაშინათვე იმიტომ, რომ ამისთანა დიდებულ სიმღერების მცოდნენი მაშინაც კი ძალიან ცოტანი იყვნენ და მათ მამამთავრად სწორად დირსეულად ითვლებოდა ჩვენი მასწავლებელი ტკბილად მომღერალი სოსიკო კოზმანიშვილი. ეხლა, როდესაც ოთხი თუ ნაკლები მომღერალი და დარჩა კახეთში და არც ერთი სოსიკოს ფერი არ არიან, ხშირად იგონებენ ხოლმე ნადიმის დროს სოსიკოს და იმის მიერ გაწვრთნილს ძმისწულს ნიკოს. ისინი იყვნენ უკანასკნელი დირსეული წარმომადგენელნი ქართულ ძველ ისტორიულ მედიდურ სიმღერებისა. მათთან ერთად დაიმარხა ბევრი ჩვენი საუკეთესო სიმღერა და თუ კიდევ რამე დარჩა, ძველებური აღარ არის. ამ აზრზე დავდეგ, სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ბ-ნ ზ. პ. ფალიაშვილთან ერთად მოვვლეთ კახეთი იქაურ სიმღერების შესაკრებად. სადღაა ძველებური მედგარი და ძახილი კაზმიანთებური შეძახილი. ყველა სიმღერები რაც კი დარჩენილა, ელფერი სცვლია და გაფუჭებულა. ზოგიერთ ძველებურ სიმღერას ვეღარ გაიგონებს სრულებით კახეთში. სადღაა **„ძველი ჯავახური"**, **„გავაზური"**, **„დიდი გავაზური"**, **„გვიბრძანე"**, **„ბულბულმა სთქვა"**, **„დარფია"**, **„ყურშა"** და სხვა.

იმ ჩვენთვის სანატრელ დროს კი სოსიკოსაგან ეს ზემოხსენებული სიმღერები ზედმიწევნით ვიცოდით და ამათ გარდა კიდევ შემდეგი ძველი სიმღერები: **„ჩაკრულო"**, **„ხეურო"**, **„ჩონგურო"**, **„ბერი კაცი ვარ"**, **„გრძელი არალალი"**, **„ორპირული"**, **„არნანოები"**, **„ძველებური მაყრული"**, **„მგზავრული"**, **„კახური მრავალ-ჟამიერ"**, **„დიამბეგის ქალს აქებენ"**, **„შავლეგო"**, **„ბედზედ დაგნატრი ბარათო"** **„ოქროს დილით"** (ძ...ლი) და სხვა. ყველა ამას ჩვენი პატარა გუნდი მწყობრად და სინამდვილით მღეროდა.

არ დამავიწყდება 1883 წლის ყველიერის აღების ღამეს ნადიმი პატარა ოთახში ი. გ. რატიშვილის ბინაზე, რომელიც გამოსაფხოვარი საღამო იყო სოსიკოსთან. ამ დღეს სოსიკო კოზმანიშვილი, ტიტიკო ვახვახიშვილი და ივანე ბახუტაშვილი გვყვანდნენ შეკვრდულ ნადიმზე მოწვეულნი და აქ ორპირად ვიმღერეთ ყველა ზემოხსენებული სიმღერა. ჯერ ისინი იმღერებდნენ და მერე ჩვენ. მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. კარგად მახსოვს, სოსიკოს ცრემლები მოუვიდა თვალებზე, მოვიდა გადაგვკოცნა ყველანი და გვითხრა: „ეხლა შვილებო, თუნდაც რომ მოვკვდე, აღარა მიშავს რა. საფლავში მაინც არ ჩამყვება და მით სამუდამოდ აღარ დაიკარგება კახური ხმა. ტკბილი სიმღერები"-ო. ასეთის იმედით დაგვემშვიდობა ჩვენი ტკბილი სოსიკო, მაგრამ მას შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი და ჩვენც აქეთ-იქით დავიფანტენით სამსახურისა გამო, სწავლის დათავების შემდეგ, და ზოგი კი სემინარიაში დარჩა. ამდენ დიდებულ სიმღერებიდან დღეს მე თვითონ მეხუთედი და თუ მახსოვს და სხვებიც ხომ ჩემ დღეში იქნებიან. ან კი სად შეჰხვდება ნადიმზე ამ ძველებურ სიმღერების მთქმელს, რომ კაცმა მოიგონოს და აღადგინოს ნაცოდნი სიმღერები.

როცა ლადო აგნიაშვილს გაეგო, რომ ამ პატარა გუნდს ამდენი სიმღერა უსწავლიათ, მოიჭრა ჩემთან სასწავლებელში და აღტაცებულმა მითხრა: „ოღონდ ამ საქმეს ბოლოს ნუ მოუღებთ ჩვენებურად, ოღონდ მეც თქვენთან მიიღეთ და ჩემი უძრავ-მოძრავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო". აქვე პირობა დავდეთ, რომ ერთგულ ხმების აღდგენის მოვახმარებდით ჩვენ ძალას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მე ტფილისს დავშორდი და შემდეგში ლადომ შეადგინა ქართული ხორო ი. ა. რატილის ხელმძღვანელობით. მეც რაც შემეძლო კახეთიდან მოვაწოდე ნოტებზე დაწერილი კახური გრძელი მრავალჟამიერი და რამდენიმე სხვა სიმღერა, რომლებიც შეტანილია განსვენებულ ლადოს ხელნაწერ სიმღერების კრებულში ჩემი გვარით.

როგორც ვიცით, ლადო აგნიაშვილის ხორომ მიიპყრო ყურადღება მთელ საქართველოსი, თუმცა ზემოხსენებული ძველი სიმღერები არ შეუსწავლიათ, აღბად დრომ ან გარემოებამ ხელი არ შეუწყო განსვენებულს.

მიუხედავად ამისა, შრომა ლ. აგნიაშვილისა, როგორც მეთაურისა და ი. ი. რატილისა, როგორც ხორის მმართველისა, იმდენად დირს შესანიშნია, რომ ყოველთვის მადლობით უნდა ვიხსენიებდეთ და ქართულ ეროვნულ სიმღერების ისტორიაში მათი შრომა და ხსოვნა შესაფერ ადგილს დაიჭერს.

ზ. ი. ჩხიკვაძე.

# უცხოეთი

**არჩევნები ინგლისში.**

არჩევნები ინგლისში თითქმის გათავდა, 6 დეპუტატი-ღა დარჩა ასარჩევი. საინტერესოა ვიცოდეთ, ინგლისის რომელ კუთხეში რომელ პარტიას დაუჭირეს მხარი ამომრჩევლებმა. ამის თაობაზე „რუსკაია ვედომოსტი" ს კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს იძლევა:

„ჩვენ თავდაპირველად ვხედავთ ინგლისის „განაპირა ქვეყნებს", დასახლებულს კელტის ტომით: შოტლანდიელებით, ირლანდიელებით და უელსელებით. იყო დრო, როდესაც ეროვნული საკითხი ინგლისშიაც ისე ესმოდათ, როგორც დღეს ჩვენში, რუსეთში. მაშინ წესად იყო მიღებული, რომ ინგლისის ერი უნდა ბატონობდეს, ხოლო დაპყრობილი ერები მას ემორჩილებოდნენო. ასეთის პოლიტიკის გაწვრივ-გასწვრივ განხორციელება წინად ხშირად იწვევდა ხოლმე აჯანყებას შოტლანდიასა და ირლანდიაში. ეხლა ყველა ასეთ შეხედულებისგან, საბედნიეროდ, მოგონება-ღა თუ დარჩა. „ინგლისი ვერ წავა იოლად უკელტებოდ, რადგან კელტები (შოტლანდიელები, ირლანდიელები და უელსელები) სად, მახვილ ჭკუას ჰმატებენ ინგლისელებსაო," — ამბობს ცნობილი ინგლისელი მწერალი ბერნარდ შოუ ერთ-ერთ თავის წიგნის წინასიტყვაობაში. მართლაც და საკმაოა გავიხსენოთ მარტო მეომრები ველინგტონი, რობერტსი, მეზღვაურები ნეპირი და მაკკლანტონი, სახელმწიფო მოღვაწენი ბალფური კეპბელ-ბანერმანი, ლოიდ-ჯორჯი, ეკონომისტები—ადამ სმიტი, მაკ-კულოხი, ბელეტრისტები—ვალტერ-სკოტი, პოეტები—მური, ბაირონი, ისტორიკოსები—მაკოლეი და მრავალნი სხვანი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა სასარგებლო იყო ინგლისის სამეფოსთვის სხვა და სხვა ერების ერთს ეროვნებად შეერთება.

შოტლანდია დიდი ხანია შეურიგდა ინგლისს, იქაურ ხალხის გულში დიდი ხანია გაჰქრა სიძულვილი ინგლისისადმი. შოტლანდიის ხალხი კულტურული, ნიჭიერი და მხნეა. საქმიან შოტლანდიელებს ვერავინ მოატყუებს „ფეტვის მარცვლით". შოტლანდიელი იმდენად საზრიანი და საქმიანი კაცია, რომ მას ვერავინ მოხიბლავს „სატარიფო რეფორმით", და „ქუცხოელის კისრიდან" ამოღებულ შემოსავლით, მართალია შოტლანდიის სოფლის ხალხი ისეთი განვითარებული არ არის, როგორც ქალაქის ხალხი, მაგრამ მასაც ძლიერა სძულს ლორდები, რომლებმაც უარ-ჰყვეს ლიბერალურ სამინისტროს კანონ-პროექტი შოტლანდიის მოიჯარადრე გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. და, აი, ამის გამო მთელი შოტლანდია, მცირე გამონაკლის გარდა, მიემხრო ლიბერალურ სამინისტროს.

ირლანდია—ყველაზე მეტად დაჩაგრული ქვეყანაა. მართალია უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ინგლისმა ბევრი ცოდვა მოინანია და ბევრი ვალი გადაუხადა ირლანდიას, მაგრამ ირლანდიელებს მაინც ახსოვთ წინანდელი ჯავრი და წყენა. კიდევ დარჩა ერთი გადაუხდელი ვალი: ესაა ირლანდიის ჰომრული (ირლანდიის ავტონომია, ადგილობრივი პარლამენტი). სამინისტრო დაჰპირდა ამ ვალის გადახდას და ირლანდიამაც მხარი დაუჭირა ჰომრულს. იქნება ეს ჰომრული თითონ კონსერვატორებმაც მისცეს ირლანდიას. ეს უცნაურად არ გეჩვენოთ. თუმცა კონსერვატორები ძველებურად რევოლიუციონერებად და იმპერიის ერთობის მტრებად სთვლიან ირლანდიელ ჰომრულერებს (ავტონომისტებს), მაგრამ ეხლა, სარწმუნოებრივ საკითხის გადაწყვეტისა და სამადგილ-მამულო საქმის რიგიანად გაუმჯობესების შემდეგ, გასაოცარი აღარ იქნება, რომ ჰომრული ირლანდიას მისცენ კონსერვატორებმა. ბერნარდ შოუ სრულიად მართალს ამბობს, როცა სწერს: „თვით ირლანდიელი ორანჟისტიც-კი (ინგლისთან ერთობის მომხრე) თავის გულისიღრმეში ნატრულობს ირლანდიის თვით-მმართველობასო", ირლანდიის არჩევნებში ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ უკიდურეს, შეურიგებელ მებატონეების შვილები ნაციონალისტების პარტიასთან ერთად მეცადინობდნენ. აი, მაგალითად, შენ ლეხლი, შეურიგებელ მებატონის შვილი. მისი მამა დიდი მტერი იყო ნაციონალისტებისა. ირლანდიელმა რევოლიუციონერებმა დაუწვეს მას შენობები, თოფი ესროლეს და ბოიკოტი გამოუცხადეს. მაგრამ აი მთელი მისი მიწა შეისყიდეს გლეხებმა და წინანდელი მტრები დამეგობრდნენ. ირლანდიელებმა ახალგაზრდა მებატონე თავიანთ კანდიდატად დაასახელეს.

კელტების მესამე ქვეყანა,—უელსი-ხომ თაყვანსა სცემს თავის „დევითს" (დევით, ან ჩვენებურად დავით სახელია ლოიდ-ჯორჯისა, რომელიც ტომით უელსელია) უელსის ბიდ ქალაქებს, მაგალითად კარდიფს, მშვენიერად ესმით, თუ რას მოუტანს მით მფარველობითი ბაჟები. ამიტომ უელსმა, როგორც ერთმა კაცმა, მხარი დაუჭირა სამინისტროს.

ეხლა დაგვრჩა თითონ ინგლისი. იგი უნდა გავყოთ სამს ნაწილად: ერთი—ლანკაშირი, სადაც განვითარებულია ბამბეულობის მრეწველობა, მეორე-შუა ინგლისი, სადაც განვითარებულია რკინეულობის მრეწველობა და მესამე სოფლის ოლქები. თუმცა პროტექციონისტები (ბაჟების დაწესების მომხრეები) ძლიერ შეეცადნენ ლანკაშირის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ბამბეულის სამეფომ არ უღალატა თავისუფალ ვაჭრობას. ლანკაშირს რომ პროტექციონიზმისთვის დაეჭირა მხარი, ეს იქნებოდა სრული სიგიჟე, საკუთარის ხელით ყელის გამოჭრა. არჩევნების წინა დღეს ლანკაშირის მექარხნეებმა მუშების წარმომადგენლებთან ერთად გამოსცეს მანიფესტი პროტექციონიზმის წინააღმდეგ. პროტექციონისტებმა ლანკაშირში მხოლოდ სამ ადგილას გაიმარჯვეს, ისიც იმის წყალობით, რომ იქ გაიმართა „სამ კუთხივი" ბრძოლა, ესე იგი სამი კანდიდატურა იყო წამოყენებული: „პროტექციონისტებისა (უნიონისტებისა), ლიბერალებისა და მუშებისა, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პროტექციონისტების კანდიდატმა იქ მეტად მცირე უმეტესობით, სულ რადიცა 8,27 და 48 ხმის უმეტესობით გაიმარჯვა.

ინგლისის შუა ნაწილი, რომელიც რკინეულის მრეწველობას მისდევს, თავდაუწყებით ემხრობა პროტექციონისტებს. ან კი როგორ შეუძლიათ იქაურ მექარხნეებსა და მუშებს ხმა მისცენ თავისუფალ ვაჭრობას? აი მაგალითად რას სწერდა უკიდურესი პროტექციონისტთა გაზ. „დეილი მეილი", გახარებული ინგილდში პროტექციონისტების გამარჯვებით: იმ ქარხნების მუშებს, სადაც მზადდება სამხარი იარაღი, მშვენივრად ესმით, თუ რა დამოკიდებულია მათთვის იარაღის აყრა, რომელსაც გულმოდგინედ მოითხოვს ეხლანდელი სამინისტრო (როგორც ვიცით, ასკვიტის სამინისტრო ცდილობდა სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით საზღვაო შეიარაღების შემცირებას).

ინგლისის სოფლის ოლქებიც პროტექციონისტებს მიემხრნენ. ეს მრავალ მიზეზით აიხსნება. ინგლისელი ფერმერი იმ იმედით აძლევდა ხმას პროტექციონისტებს, რომ „სატარიფო რეფორმა" გასდევნის სხვაგნებურ ხორცს, რძეს, ერბოს, ყველს და იქნება პურსაც. მემამულეც მოელის, რომ „სატარიფო რეფორმა" ასწევს მამულების ფასს. სოფლის უმამულო მუშაკ მოხიბლა მედგარმა უსინიდისო ქადაგებამ. პროტექციონისტები აუარებელ აგიტებს ჰგზავნიდნენ სოფლებში და არწმუნებდნენ იქაურ მუშებს, რომ ბაჟების დაწესების შემდეგ, პური გაიაფდება და ყოველი სოფელი მუშა კვირაში ეხლანდელ 14 შილინგის ნაცვლად, კვირაში 40-ს მიიღებსო. ამას გარდა პროტექციონისტები დაჰპირდნენ მათ მიწასა და იაფ კრედიტს. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მემამულეებმა და მღვდლებმა ძალა დაატანეს, შეაშინეს და თან დაარწმუნეს მუშები, რომ საარჩევნო საიდუმლოება გამომჟღავნდება, გაიგებენ, ვინ ვისთვის მიუცია ხმა და მაშინ ვაი იმას, ვისაც „სოციალისტებისთვის" (ლიბერალებისთვის) დაუჭერია მხარიო. სოფლებსა და ქალაქებში პროტექციონისტები ბეჯითად ავრცელებდნენ ასეთს აფიშას: „რას ნიშნავს ლიბერალიზმი? რა მოხდება, თუ ლიბერალები ისევ გაიმარჯვებენ? ხუთის წლის შემდეგ დაგვეკარგება ირლანდია, კოლონიები, ფლოტი, ეკლესია, არ გვექნება არც სასმელების სავაჭროები, არც ლუდი, არც ფული, არც სამუშაო, აღარც რისამე იმედი. ინგლისში იქნებიან მარტო გერმანელები, ლიმონადი და აუარებელი სიცრუე.

ასეა თუ ისე სოფლის საარჩევნო ოლქებში პროტექციონისტებმა ბევრგან შესანიშნავად გაიმარჯვეს. ლონდონმა-კი გააცრუა პროტექციონისტების იმედი. რა შედეგი მოჰყვება ეხლანდელ არჩევნებს? ლიბერალური სამინისტრო ისევ დაუბრუნდება ინგლისის მართვა-გამგეობას, მაგრამ მხოლოდ ირლანდიელებისა და მუშების შემწეობით. ოპოზიციას — უნიონისტებს ერთი პირი აქვთ, სამინისტროს მომხრე პარტიებს-კი არა. ამიტომ იქნება ამ წლის გასულს ახალი არჩევანი დაინიშნოს. კონსერვატორები ურჩევენ ხალხს, ამ თავითვე დაემზადენით ახალ არჩევნებისთვისო. გადამწყვეტ, სრულ გამარჯვებისთვის საჭიროა პროგრამა ფართო სოციალურ რეფორმებით; აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოს მიერ დაზღვევა უმუშევრობისგან, მიწის გამოსყიდვა მემამულეებისგან, წვრილი კრედიტი და კოოპერაციები. ყველა ამ რეფორმისთვის ფული უნდა მოგვცეს „სატარიფო რეფორმამა" ო, ამბობენ კონსერვატორები. ადვილად შესაძლებელია, რომ ამ პროგრამაში ახალი მუხლიც ჩაუმატონ: „ირლანდიის ჰომრული", რომელსაც იმ აზრით გამოაცხადებენ, რომ ირლანდიელ ნაციონალისტების შემწეობით ეხლანდელი სამინისტრო დაამარცხონ".

# თეატრი და ხელოვნება

**კონცერტი.** როგორც გვწერენ, წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ კონცერტი 23 იანვარს იმართება საარტისტო საზოგადოების დარბაზში. პროგრამა მეტად საინტერესოა. მონაწილეობას იღებენ ცნობილი მომღერლები და მუსიკოსები: ქ.-ნ ქ. ფ[illegible] (იმღერებს რუსინის არიას). ე. ი. [illegible] (შეასრულებს [illegible] ლისტის ეტიუდს), ივანე სარაჯიშვილი (იმღერებს პუჩინის არიას, რომანსებს და სხვას), ბ. ვილშაუ (დაუკრავს სკრიპკაზე) და სხვანი. კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართულ-ევროპიული ცეკვა. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

**არტისტის დ. გამყრელიძის ავადმყოფობა.** ორი-სამი კვირაა თურმე, არტისტი დ. გამყრელიძე ძალიან ავად არის. ფილტვების ანთება ჰქონია. თუმცა კრიზისმა უკვე გაიარა, მაგრამ მსახიობი ჯერ კიდევ ძალიან სუსტად არის.

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ეს წერილი მოათავსოთ „დროების" უმახლობელეს ნომერში.

გასული წლის ნოემბერში ხონში მცხოვრები ექიმი შ. მიქელაძე ტფილისში გადავიდა საცხოვრებლად. მისმა მეგობრებმა მისს პატივსაცემლად, სადილის მაგივრად, თავისი წვლილი შემოსწირეს ქ.-შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილებას. შემომწირველთა სია: 5 მან. —პ. ი. ჩხიკვიშვილი; ორ-ორი მანეთი: მ. ვ. ბახტაძემ, ა. ბ. ჰიპინაძემ, გ. ი. ბურჭულაძემ, ვ. პ. თარგამაძემ, ს. დ. მამალაძემ, ა. ს. ნიჟარაძემ, პ. ლ. კიკალიშვილმა, ე. ი. ცაგარეიშვილმა, ი. გ. გრინოვმა, ს. გ. ნიჟარაძემ, სევერიანე ჩიქოვანმა, მ. პ. სანოძემ, ი. ი. ქუთათელაძემ, მოსიკო ჰელიძემ, ევტიხი მებუკემ, ი. ს. შარაშიძემ, ვ. მ. მებუკემ, ვ. ი. ივანოვმა, მამა სპირიდონ გორდელაძემ, მამა იასონ ქუთათელაძემ, ი. ი. აბაშიძემ, ვ. თ. მაჭარაძემ, ლ. ბ. ხამაშურიძემ, ანტონ ბახტაძემ, ვიქტორ ავალიანმა, ვ. ა. ფაღავამ, ი. ს. ქესხმა, გ. გ. ოქროპირიძემ და П. Д. Бобро-[illegible]; თითო მანეთი შემოსწირეს ქ—ნებმ: ე. ვ. ბახტაძისამ, ს. მ. ნიჟარაძისამ, ა. ი. მამალაძისამ, თ. თ. ბურჭულაძისამ, ათინა მებუკისამ, ა. ს. ივანოვისამ, [illegible]. ი. ქუთათელაძემ, ე. კ. ჩხეიძემ, ა. ს. ფოცხვერიასამ, ს. დ. ბახტაძემ, ლ. ს. ფოცხვერიასამ, დ. ი. ქუთათელაძისამ, ე. პ. ქუთათელაძისამ, მ. ე. შანიძემ, მ. გ. ყიფიანმა, ბაბალე აბაშიძისამ, არეთა მაჭარაძისამ, ე. ი. ოქროპირიძისამ, ე. ლ. ხამაშურიძისამ, ო. ი. გორგაძისამ, მარიამ მესხიამ, მამა კ. ქუთათელაძემ, ერმალოზ კიწმარიშვილმა და ნესტორ ბოლქვაძემ, და Н. Р. Гиммельманъ 2 ман.

განყოფილების გამგეობა დიდ მადლობას სწირავს შემომწირველთ.

განყოფილების მდივანი **გრიგოლ ბურჭულაძე.**

**იბეჭდება და პირველ თებერვალს გამოვა**
**მ ე ო რ ე ნ ო მ ე რ ი**
პედაგოგიურ-სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ
**„განათლებისა"**
**შემდეგის შინაარსით:** 1. აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშო წიგნებისა. 2. სწავლა-აღზრდის საქმე ძველ საქართველოში X—XIII საუკ., **სამ. ცომაიასი.** 3. **მთას**, (ლექსი), **ვაჟა-ფშაველასი.** 4. მკვდარი სკოლა, (მეოლეკოსი) კ. ან—ძისა. 5. სიმღერა, (ლექსი) ლ. გეგეჭკორისა. 6. **სულა და ღმერთები**, (ლეგენდა) **ბაჩანასი.** 7. ქართული ენის პროგრამა საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 8. დედა-ენა, (უშინსკიდან). 9. **მესსიანიზმი პოლონურსა და ქართულს მწერლობაში, ალ. ხახანაშვილისა** 10. შინაური მიმოხილვა, Katti-სა. 11. სულით ავადმყოფ დამცველ-საზოგადოებათა კრება, (წერილი პეტერბურგიდან), ლ. ლ. გეგეჭკორისა. 12. სახალხო მასწავლებელი ინგლისში. 13. ზრუნვა მოწაფეთა ჯანმრთელობის შესახებ უცხოეთში. 14. სინემატოგრაფი და მისი მნიშვნელობა სწავლებაში. 15. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 16. განცხადებანი.
ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად 2 მან. **ცალკე ნომრები იყიდება მხოლოდ ტფილისში.** ვისაც წინა წლებში გადახდილი ჰქონდა 5 მანეთი, იმათ ჟურნალი წელსაც ეგზავნებათ; ვისაც პირველი ნომერი გაეგზავნა, ფული არ შემოუტანი და არც არაფერი უცნობებია რედაქციისათვის, მეორე ნომერი არ გაეგზავნება.
**მისამართი**—Тифлисъ. Дворянская грузинская гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.
(3—1)
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

**გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა**
რადგან **სპერმინი-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო". ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთექრო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.
ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს ● **სპერმინ-პელს** ● და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ 290 Органотерапевтическій институтъ.
Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.
(Метцль и К-о. № 177994). (8—6.—3)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.